დამტკიცებულია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით N33.
„08—05—“2018 წ. ოქმი N 8.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის, გაუქმების პროცესებსა და პროცედურებს, ასევე პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას. წესი ეფუძნება საქართველოს კანონს „პროფესიული განათლების შეხებ“, საქართველოს კანონს „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“.

მუხლი1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

1.1 საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე ინიცირება შეიძლება მოხდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ, შესაბამისი დარგის სპეციალისტის ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პირის მიერ.

1.2 ინიცირების საფუძველი შეიძლება გახდეს შრომის ბაზრის, ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი პრიორიტეტები, დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი. პროგრამების შერჩევის დროს გასათვალისწინებელია უნივერსიტეტის მისიასთან თავსებადობა.

1.3 პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამების შემუშავების სახელმძღვანელოა პროფესიული საგანმანათლებლო სრანდარტით შექმნილი პროგრამები.

1.4 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფაკულტეტის საბჭოსთან და დეკანთან ერთად პროგრამის შემუშავების პროცესზე, განხორციელებასა და მის განვითარებაზე.

1.5 პროფესიული საგანმანათლებლი პროგრამების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს: პროგრამაზე მისაღები სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა, რაც უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციას, ასევე პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსები. საწარმოო პრაქტიკის გავლის ობიექტთან დადებული ხელშეკრულება.

1.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი მოიცავს სამი ტიპის მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.

1.7 შესაძლებელია პროგრამიდან ამოღებული იქნას არჩევითი მოდულების ბლოკი - ამ შემთხვევაშიც უნდა არსებობდეს დასაბუთებული პოზიცია, თუ რატომ ითქვა უარი დასახელებულ მოდულებზე.

1.8 სტანდარტი მოიცავს უცხოური ენის შესაბამისი დონის ზოგად მოდულს. სასწავლებელი უფლებამოსილია შეარჩიოს შესაბამისი უცხოური ენა, რომელსაც ასწავლის პროგრამის ფარგლებში და ეს ასახოს უცხოური ენის მოდულში. თუ პროგრამა სპეციალობის სავალდებულო

მოდულებში ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტულ უცხოურ ენას, მაშინ ზოგადი უცხოური ენა იგივე უნდა იყოს.

1.9 პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ქართული ენის მოდულს/ებს იმ სტუდენტებისთვის რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

1.10 პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც). ასევე სასწავლო გეგმაში ასახული უნდა იყოს ქართული ენის მოდულები.

1.11 სასწავლო გეგმა უნდა იყოს თანმიმდევრული და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები

1.12 პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ.

1.13 პროფესიული პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა შესაძლოა შეიცვალოს არჩევითი მოდულების კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, შესაბამისად შეიცვლება სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობა;

მუხლი 2. მოდულის შემუშავების წესი

2.1 მოდული, როგორც წესი, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტს და შესაბამისად, ის პროგრამის დანართია და მტკიცდება პროგრამასთან ერთად, ერთიანი აქტით. თუ მოდულში შევა ცვლილება, გამოიცემა აქტი, რომ შეიცვალა პროგრამის შესაბამისი დანართი.

2.2 მოდულები შედგება სამი ნაწილისაგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.

2.3 მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია;

2.4 დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს, შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით. კონკრეტულად, შესაძლებელია შეიცვალოს სწავლების მიდგომები და მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტები (და არა მიმართულებები).

2.5 საათების განაწილებაში სასწავლებელს შეუძლია დატოვოს შემოთავაზებული განაწილება ან ასახოს თავისი მიდგომები. თუმცა არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ. თეორიულ და პრაქტიკულ საათებს შორის გადანაწილება შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ იმ საათების თავდაპირველი რაოდენობის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს, რომელსაც აკლდება საათები.

2.6 სწავლის შედეგის შეფასება შესაძლოა მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად. თუ მოდულს სწავლებისა და შეფასების პუნქტში ემატება შეფასების მეთოდი და მტკიცებულებების გრაფა აქ დაზუსტებულია, შეფასების რომელი მიმართულება უნდა იყოს გამოყენებული და რა ტიპის მტკიცებულებები შეიძლება შეგროვდეს კონკრეტული მიმართულების შესაბამისად.

2.7 აღჭურვილობა და მასალა/ნედლეული ინდივიდუალურია თითოეული მოდულისათვის. ტექნიკური აღჭურვილობის ნაწილში მითითებული აღჭურვილობა არ უნდა იყოს ნორმატივში მითითებულ პარამეტრებზე ნაკლები. მოდულის შემუშავების

პროცესში სასწავლებელმა თითოეულ მოდულს უნდა მიუწეროს მისი განხორციელების ადგილი, კერძოდ: მისამართი, კორპუსი, ოთახი.

2.8 მტკიცებულებების მოპოვების მიდგომები: ყველა სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მტკიცებულებები უნდა იქნას დაცული და ინახებოდეს კვალიფიკაციის მინიჭებამდე, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

2.9 შეფასების ინსტრუმენტები: უნდა შეფასდეს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. სასწავლებელს შეუძლია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი. მთავარია ინსტრუმენტი შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური იყოს და სანდო მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.

2.10 გამოყენებული ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები: ცენტრის მიერ დამტკიცებულ მოდულში ჩამოთვლილია რეკომენდირებული წყაროები. სასწავლებელმა მის საბიბლიოთეკო ფონდში უნდა შეიტანოს არსებული ლიტერატურა, კონსპექტები და სხვა წყაროები ნაბეჭდი სახით ან ელეტრონულ მატარებელზე, რაც პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

2.11 საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

2.12 მოდულის განმახორციელებელი: აქ მიეთითება პროფესიული განათლების მასწავლებლის, მოწვეული სპეციალისტის მონაცემები, რომელიც მოცემულ მოდულს ახორციელებს ან განახორციელებს. შესაძლოა მოდულს ორი ან მეტი პირი ახორციელებდეს. ამ შემთხვევაში მიეთითება ყველა მათგანი.

2.13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით ან/და მოდულით. ერთი კრედიტი 25 ასტრონომიული საათია.

2.14 შემუშავებული პროფესიული პროგრამა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს და დეკანის წარდგინებით განსახილველად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. პროგრამას თან უნდა ახლდეს პროგრამით განსაზღვრული ყველა დოკუმენტი;

2.15 აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის ფაკულტეტს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი პროცესებისა და პროცედურების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

2.16 აკადემიური საბჭოს მიერ პროფესიული პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში, პროგრამა და შესაბამისი დოკუმენტები თვითშეფასების ანგარიშთან, რომელსაც ამზადებს ფაკულტეტი და შემოწმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ერთად წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ავტორიზაციისათვის.

2.17 ავტორიზაციის პროცედურების გავლის და პროგრამის ავტორიზაციის შესახებ საბჭოს დადებითი გატაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაბამისი ფაკულტეტი უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

მუხლი 3.პროფსიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა

3.1 პროფესიულ **საგანმანათლებლო პროგრამების** ამოქმედების შემდეგ მასში ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია იმ დოზით, რის საშუალებასაც იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე აშემუშავებულ პროფესიული პროგრამების მოდულების პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება დაუშვებელია; ცვლილების შეტანა შესაძლებელია სარეკომენდაციო ჩანაწერებში.

3.2 პროგრამაში/მოდულებში გასახორციელებელი ცვლილების საფუძველი შეიძლება გახდეს საავტორიზაციო, პროგრამის მონიტორინგის ან გარე მხარდაჭერის ჯგუფების ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები პროგრამასთან /მოდულებთან დაკავშირებით;

3.3 პროგრამაში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაში ჩართული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული გადაწყვეტილება ფაკულტეტის ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნასთან ერთად განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს;

3.4 ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შეცვლილი პროგრამა წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

3.5 პროგრამაში/მოდულებში განხორციელებული ცვლილებები აისახება პროგრამის თვითშეფასების ანგარიშებში;

მუხლი 4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმება

4.1 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება გახდეს ადამიანური რესურსის სიმცირე, სტუდენტთა მხრიდან პროგრამის მიმართ ინტერესის არარსებობა, პროგრამის განხორციელებისას გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში პარტნიორებთან თანამშრომლობის შეწყვეტა და სხვა;

4.2 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ პროგრამის ხელმძღვანელის ინიციატივით და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით მიიღება ფაკულტეტის საბჭოზე;

4.3 ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პროგრამის გაუქმების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილვევლად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად;

4.4 გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემდგომი პროცესების განხორციელების მიზნით;
4.5 იმ შემთხვევაში, თუკი გაუქმებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ირიცხებიან სტუდენტები, მათი შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მუხლი 10-ის შესაბამისად.

მუხლი 5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პროფესიული განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, ასევე, ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტების და შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის ნორმატიული და სამართლებრივი აქტებით. გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მონაწილეობს უნივერსიტეტის საქმიანობის დაგემვის, მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესებში.

სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგი და განათლების ხარისხის განვითრების ხელშეწყობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავრი ამოცანებია. სამსახური მუშაობს დემინგის PDCA პრინციპით: P – Plan - დაგეგმვა; D – Do - განხორციელება; C – Chek - შემოწმება; A – act - რეაგირება.

ასეთი ტიპის შეფასება არის ძირითადი საშუალება, რომელიც წარმოაჩენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს.
5.1. პროგრამის შეფასება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ წელიწადში ერთჯერ.
შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:
ა) პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვას;
ბ) პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვა;
გ) კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
დ) შიდა შეფასების ანგარიშები.

გამოკითხვებსა და სტუდენტთა შედეგების მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
გამოკითხვები ტარდება ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული კითხვარების საფუძველზე, დადგენილი წესით, ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.